



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 45/00

„2“ ივნისი 2010

ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი *ნ. ჩადუნელი*
ნინო ჩადუნელი
„02“ „06“ 2010 წელი

გვ. N2

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტის შესახებ

აქტი

შინაარსი/საძიებელი

ნაწილი I. შესავალი

ნაწილი II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების
შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის
გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო
კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

1.3. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

ნაწილი III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

ნაწილი IV. აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ნაწილი 1. შესავალი

აუდიტის ფორმა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტი.

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 თებერვლის N9/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტის დასახელება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქ. N8-10, ტელ: (+995888222) 7 0099.

აუდიტის ჯგუფი: აუდიტორები ენვერ დოლიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და თენგიზ გურასაშვილი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი: 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა: აუდიტი დაიწყო 2010 წლის 25 თებერვალს და დამთავრდა 2010 წლის 7 აპრილს.

აუდიტის მეთოდი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

შემოკლებანი:

1. კონტროლის პალატა – საქართველოს კონტროლის პალატა;
2. ფინანსთა სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – სასამართლო.

ნაწილი II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 30.12.08 წლის N945 - რს საქართველოს კანონით, სასამართლოს დაფინანსება განესაზღვრა 2600,0 ათასი ლარით. 2009 წლის 11 ივლისის N1410-რს კანონში შეტანილი ცვლილებით დაფინანსება შემცირებულ იქნა 50,0 ათასი ლარით (საქონელი და მომსახურების მუხლი). 2009 წლის 4 დეკემბრის N2229-II-ს ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით ასიგნებამ შეადგინა 2595,4 ათასი ლარი. მათ შორის: საბიუჯეტო ასიგნებამ 2550,0 ათასი ლარი, ფულადმა გრანტმა 45,4 ათასი ლარი. ამ ასიგნების ფარგლებში, წლის მანძილზე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ოთხ შემთხვევაში განხორციელებულია შიდა მუხლოვრივი გადანაწილება, რაზედაც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები და სამინისტროს სახაზინო სამსახურის ცნობები ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

სულ განხორციელებულია ცვლილება 140,4 ათასი ლარის ფარგლებში (გამოყოფილი ასიგნების 5,4%), საიდანაც უმეტესი ნაწილი შეეხო „საქონელი და მომსახურების მუხლს“, რომელიც შემცირებულ იქნა 188,7 ათასი ლარით (98,8%), 1,7 ათასი ლარით შემცირებულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლი. შედეგად, არაფინანსური აქტივების მუხლი გაზრდილია 135,0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 2,6 ათასი ლარით, ვალდებულების კლება 2,8 ათასი ლარით.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტებული ბიუჯეტი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ასეა წარმოდგენილი:

ათასი ლარი

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება		დაზუსტებული გეგმა	შენიშვნა
		გაზრდა	შემცირება		
ხარჯები:	2500,0			2312,2	
შრომის ანაზღაურება	1790,1		1,7	1788,4	
საქონელი და მომსახურება	650,0		188,7	461,3	
სოც. უზრუნველყოფა	4,9	2,6		7,5	
სხვა ხარჯები	55,0			55,0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	100,0	135,0		235	
ვალდებულებების კლება		2,8		2,8	
გრანტი		45,4		45,4	
სულ	2600,0	185,8	190,4	2595,4	

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.


1.2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება.

2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების შედეგად დაზუსტებული ასიგნების (2595,4 ათასი ლარი) და აღებული ვალდებულებების (2561,4 ათასი ლარი) ფარგლებში დაფინანსებამ (საკასო შესრულებამ) შეადგინა 2560,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 2527,4 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით, გადასახდელების შესრულების მდგომარეობა 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილის სახით ათას ლარებში:

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)	შესრულება %-ში (3/2)
1	2	3	4	5	6
სულ ხარჯები:	2312,2	2311,1	2515,0	203,9	99,9
შრომის ანაზღაურება	1788,4	1788,3	1788,3		100
საქონელი და მომსახურება	461,3	461,1	426,9	-34,2	100
ძირითადი კაპიტალის მოხმარება			238,1	238,1	
სოც.უზრუნველყოფა	7,5	7,5	7,5		100
სხვა ხარჯები	55,0	54,2	54,2		98,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	235,0	235,0			100
ვალდებულებების კლება	2,8	2,4			85,7
გრანტი	45,4	12,4	12,4		27,3
სულ	2595,4	2560,9	2527,4		98,7

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით საკასო შესრულებამ მთლიან ხარჯებთან მიმართებით (%-ში) შემდეგი სახე მიიღო:



საკასო ხარჯში ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება, შესაბამისად 135,0 ათასი ლარის და 2,4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება, ვინაიდან აღნიშნულ ოპერაციებზე მიმართული სახსრები კაპიტალის წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირება „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ სახით შეადგენს 238,1 ათას ლარს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლში ფაქტობრივ და საკასო შესრულებას შორის სხვაობა (34,2 ათასი ლარი) გამოწვეულია საწყობში არსებული სასაქონლო მარაგებით.


წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2009 წელს ფაქტობრივად გაწეულმა ზოგიერთი სახის დანახარჯმა შეადგინა 2162.7 ათასი ლარი. აქედან:

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 1811.8 ათასი ლარი. მათ შორის: შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 23.5 ათასი ლარი, ხოლო საშტატო განაკვეთით 1788.3 ათასი ლარი. საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1333,6 ათას ლარს, პრემია, დახმარება, კომპენსაცია 450.0 ათას ლარს (ხელფასის 33,7%), დანამატი 4,7 ათას ლარს.

სამსახურებრივი ავტომობილების მომსახურეობაზე (15 ერთეული) გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 181.4 ათასი ლარი. მათ შორის საწვავის ხარჯმა 103.1 ათასი ლარი (56.8%), რემონტისა და საპოხი მასალების ხარჯმა 61.6 ათასი ლარი, ავტომანქანების დაზღვევის ხარჯმა 16,7 ათასი ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯებმა შეადგინა 40,3 ათასი ლარი. აქედან მობილური ტელეფონით სარგებლობის ხარჯებმა 27.9 ათასი ლარი (69,2%), სხვა სატელეფონო კავშირის ხარჯებმა კი 12.4 ათასი ლარი.

მივლინების ხარჯმა შეადგინა 84.2 ათასი ლარი.



საკასო ხარჯში ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება, შესაბამისად 135,0 ათასი ლარის და 2,4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება, ვინაიდან აღნიშნულ ოპერაციებზე მიმართული სახსრები კაპიტალის წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირება „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ სახით შეადგენს 238,1 ათას ლარს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლში ფაქტობრივ და საკასო შესრულებას შორის სხვაობა (34,2 ათასი ლარი) გამოწვეულია საწყობში არსებული სასაქონლო მარაგებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2009 წელს ფაქტობრივად გაწეულმა ზოგიერთი სახის დანახარჯმა შეადგინა 2162.7 ათასი ლარი. აქედან:

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 1811.8 ათასი ლარი. მათ შორის: შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 23.5 ათასი ლარი, ხოლო საშტატო განაკვეთით 1788.3 ათასი ლარი. საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1333,6 ათას ლარს, პრემია, დახმარება, კომპენსაცია 450.0 ათას ლარს (ხელფასის 33,7%), დანამატი 4,7 ათას ლარს.

სამსახურებრივი ავტომობილების მომსახურებაზე (15 ერთეული) გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 181.4 ათასი ლარი. მათ შორის საწვავის ხარჯმა 103.1 ათასი ლარი(56.8%), რემონტისა და საპოხი მასალების ხარჯმა 61.6 ათასი ლარი, ავტომანქანების დაზღვევის ხარჯმა 16,7 ათასი ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯებმა შეადგინა 40,3 ათასი ლარი. აქედან მობილური ტელეფონით სარგებლობის ხარჯებმა 27.9 ათასი ლარი(69,2%), სხვა სატელეფონო კავშირის ხარჯებმა კი 12.4 ათასი ლარი.

მივლინების ხარჯმა შეადგინა 84.2 ათასი ლარი.

2009 წლის მანძილზე ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შედეგად 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკონსტიტუციო სასამართლოს კაპიტალი შეადგენდა 7564,2 ათას ლარს.

ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - წმინდა ღირებულება	შენიშვნა	<u>6710,7</u>
ზრდა		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1	2561,0 33,0
გრანტები		
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები	2	52,1
უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები		24,2
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები		812,4
სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები)	3	57,6
სულ:		<u>3540,3</u>
შემცირება		
ხარჯები		2527,4
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი აქტივები		3,5
უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები		0
უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმოებული აქტივები		0
სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები)		155,9
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		0
სულ:		<u>2686,8</u>
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში		<u>853,5</u>
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - წმინდა ღირებულება		<u>7564,2</u>
სულ კაპიტალი		<u><u>7564,2</u></u>

შენიშვნა 1

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა და ფაქტობრივი ხარჯის მდგომარეობა განხილულია 1.2. საკითხში.

შენიშვნა 2

არაფინანსური აქტივების მოძრაობა 2009 წლის განმავლობაში

ათას ლარებში

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენ/ნა გებ-ბი	სატრა ნ. საშ- ბი	სხვა მანქ/და ნ და ინგ-რი	არამა ტ ძირ.აქ ტ	სხვა ძირ აქტ- ბი	მიწა	არაწ არამ ატ.ა ქტ- ბი	მატ. მარ- ები	სულ
ნაშთი 01.01.09წ.	5746,4	355,2	366,5	2,7	7,9	144,0	15,1	75,7	6713,5
მიღება:									
შესყიდვა	21,5	147,1	67,2	0	0	0	0	170,3	406,1
უსასყიდლოდ	0	0	52,1	0	0	812,4	0.0	24,2	888,7
სხვა ეკ. ნაკადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საკუთარი სახსრებით	0	0	0	0	0.0	0.0	0.0	57,6	57,6
გასვლა:									0.0
უსასყიდლოდ	0	0	3,5	0.0	0	0	0	0	3,5
სხვა ეკ. ნაკადები	148,1	0	3,4	0.0	0.8	0.0	3,6	0	155,9
ძირ.კაპ-ის მოხმარება	73,0	79,9	83,6	1,2	0,4	0.0	0.0	0.0	238,1
საქ.და მომსახ- ბით	0.0	0.0	0.0	0	0.0	0.0	0.0	137,0	137,0
ნაშთი 01.01.2010წ.	5546,8	422,4	395,3	1,5	6,7	956,4	11,5	190,8	7531,4

შენიშვნა 3

წმინდა ღირებულების ზრდა - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) შეადგენს -57,6 ათას ლარს, რომელიც წარმოადგენს ძირითადი აქტივების ჩამოწერის (დამხმარე ნაგებობის დანგრევის) შედეგად მიღებული სასაქონლო ფასეულობების ღირებულებას.

წმინდა ღირებულების შემცირება - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) შეადგენს 155,9 ათას ლარს, აქედან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანების საფუძველზე ჩამოწერილია 148,1 ათასი ლარის შენობა-ნაგებობა, 3,4 ათასი ლარის სხვა მანქანა-დანადგარები, 0,8 ათასი ლარის სხვა ძირითადი აქტივები და 3,6 ათასი ლარის არაწარმოებული არამატერიალური აქტივები.

სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება არ ირიცხებოდა, კრედიტორული დავალიანება კი შეადგენდა 2,8 ათას ლარს. წლის განმავლობაში დაფარულია 1998-2000 წლებში ავტომანქანების მიმდინარე რემონტის მომსახურებით წარმოქმნილი დავალიანება 2,4 ათასი ლარი. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა 0,4 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება.

III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორები:

ენვერ დოლიძე

თენგიზ გურასაშვილი

 22.06.2016წ.
 22.06.2016წ.